



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9/21

2019 წლის 7 თებერვალი

ქ. თბილისი

სს „საქორგგაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა „სს „საქორგგაზის“ სახელზე გაცემული ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კომისიის 2013 წლის 18 დეკემბრის №34/2 გადაწყვეტილებით სს „საქორგგაზის“ სახელზე გაცემულია ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია (№125, სერია 23) და კომპანიის ბუნებრივი გაზის განაწილების სამოქმედო არეალი განსაზღვრულია იმ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში, რომელზეც კომისიის მიერ გაცემული იყო სს „გორიგაზის“, სს „ბოლნისიგაზის“, სს „ქუთაისგაზის“, შპს „სამტრედიაგაზის“, შპს „ბორჯომიგაზის“, სს „თეთრიწყაროგაზის“, სს „რუსთავეგაზის“, შპს „ვანიგაზის“, სს „კასპიგაზის“ და შპს „თერჯოლის ბუნებრივი აირის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიები. კომისიის 2016 წლის 13 ივლისის №48/36 გადაწყვეტილებით სს „საქორგგაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობის ფარგლები განისაზღვრა კონკრეტული დასახლებული პუნქტების მიხედვით და დამტკიცდა კომისიის 2013 წლის 18 დეკემბრის №34/2 გადაწყვეტილების დანართი №1.

2018 წლის 28 დეკემბრის წერილით სს „საქორგგაზის“ დირექტორმა მოითხოვა სს „საქორგგაზის“ სახელზე გაცემულ განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანა. კერძოდ, სს „საქორგგაზის“ მოთხოვნაა სალიცენზიო არეალის დაზუსტება და სს „საქორგგაზის“ სახელზე გაცემული ლიცენზიის დასახლებული პუნქტების ჩამონათვალში ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედუბანის დამატება.

განაწილების ლიცენზიატის განმარტებით, კომისიის 2018 წლის 19 ივლისის №58/18 გადაწყვეტილებით სს „საქორგგაზის“ სახელზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ

საწირეში მდებარე გაზსადენზე (საკადასტრო კოდი: 39.00.055) გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, თუმცა აღნიშნული ქსელი ასევე ფარავს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედუბანს და შესაბამისად, ლიცენზიატმა მოითხოვა სალიცენზიო არეალში ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედუბანის დამატება.

კომისიამ 2019 წლის 9 იანვრის №1/16 გადაწყვეტილებით დაიწყო სს „საქორგაზის“ სახელზე გაცემულ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2019 წლის 6 თებერვალი, ხოლო აქტის გამოცემის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა გაგრძელდა 1 თვით და ბოლო ვადად განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვალი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიაში არ შემოსულა რაიმე წინადადება ან მოსაზრება.

კომისია მიიჩნევს, რომ სს „საქორგაზის“ მოთხოვნა საფუძვლიანია, დოკუმენტები აკმაყოფილებს „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შეტანილ იქნეს ცვლილება სს „საქორგაზის“ სახელზე გაცემული ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში (№125, სერია 23) და სს „საქორგაზის“ სამოქმედო არეალი გავრცელდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედუბანში მის მფლობელობაში არსებული ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელის ფარგლებში.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, 24-ე, 25-ე, 26-ე, 31-ე და 41-ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-16 მუხლების საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 18 დეკემბრის №34/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დანართ №1- ს 1.5.5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.5.6 პუნქტი:

1.5.6	იმერეთი	ტყიბული	სოფელი	ზედუბანი
-------	---------	---------	--------	----------

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადებისთანავე.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი ოფიციალურად გაცნობიდან (მხარისათვის გადაცემიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. გადაწყვეტილებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტს.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე




გოჩა შონია

კომისიის წევრი



გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი



მაია მელიქიძე

კომისიის წევრი



დავით ნარმანია

კომისიის წევრი

